სს „იშბანკი საქართველოს” მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციულ ბანკს - სს „იშბანკი საქართველო“ (ს/კ 404496611, ლიცენზიის ნომერი №368) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის“ მე-2 მუხლის 8[1] პუნქტის შესაბამისად, დააკისრა ფულადი ჯარიმა 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნ(ებ)ისა და/ან წერილობითი მითითებ(ებ)ის განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევას.